1. **პრეტენდენტმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო საბუთები:**

1) განახლებული (პრეკვალიფიკაციის გამოცხადების შემდეგ გაცემული) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რომელიც ადასტურებს, რომ ტენდრში მონაწილე არ იმყოფება რეორგანიზაცია - ლიკვიდაციის პროცესში;
3) ცნობა ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
4) ცნობა ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
5) ცნობა, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
6) ცნობა სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს სამართალწარმოება;
7) დასტური პრეტენდენტის ყველა საკორესპონდენტო ბანკიდან (ბანკებიდან), რომ ტენდერის მონაწილეს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანებები;
8) ცნობა ბანკიდან კონტრაქტორის სახელზე ხელშეკრულების შესრულების გარანტიის და საავანსო უზრუნველყოფის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) გაცემის მზაობაზე;
9) ქვეკონტრაქტორების ჩამონათვალი (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
10) ბოლო სამი წლის ფინანსური უწყისები (ბალანსი და მოგება-ზარალი);
11) კომპანიის მფლობელობაში მყოფი საამშენებლო ტექნიკის / მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ჩამონათვალი;
12) შესრულებული პროექტების ჩამონათვალი (მსგავსი პროფილის ობიექტებზე აქცენტირებით)
13) არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი.

2. **პრეტენდეტის გამოცდილება**

პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, შეძლებს თუ არა პრეტენდენტი შესასრულებელი მომსახურების დროულად, სრულყოფილად და სათანადო ხარისხით განხორციელებას.

პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან პრეკვალიფიკაციის გამოცხადებამდე უნდა გააჩნდეს შენობა-ნაგებობის საინჟინრო სამუშაოების შესრულების შემდეგი გამოცდილება:

2.1. 2014 წლის 01 იანვრიდან დღევანდელ დღემდე ჯამურად შესრულებული საინჟინრო სამუშაოების (გათბობა-კონდინცირება, ვენტილაცია, წყალგაყვანილობა, ელექტროობა, სუსტი დენები) ფართის რაოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ **25 000 (ოცდახუთი ათასი) კვადრატულ მეტრს.**
2.2. ამავე პერიოდის განმავლობაში საინჟინრო სამუშაოების (გათბობა-კონდინცირება, ვენტილაცია, წყალგაყვანილობა, ელექტროობა, სუსტი დენები) შესრულებიდან მიღებული ჯამური საერთო შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ **10 000 000** (ათი მილიონი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით. (ჰიდრო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საირიგაციო სისტემები და ნაგებობობები მხედველობაში არ მიიღება)

2.3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას 2.1 და 2.2 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ხელშეკრულებების რეესტრი ცხრილი №1-ის შესაბამისად. (მიმდინარე და/ან შეწყვეტილი ხელშეკრულებები გამოცდილებაში არ ჩაითვლება)

<u>ცხრილი №1 – 2014 წლის 1 იანვრიდან პრეკვალიფიკაციის გამოცხადებამდე პერიოდის გამოცდილება</u>

N	შემსყიდველი ორგანიზაცია		მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულება				ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	მიწოდების ვადა
	ობიექტის დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	თარიღი	ნომერი	ღირებულება	მოქმედების ვადა		
1								
2								
3								
ჯამი							**არანაკლებ 10 000.000 ₾**	

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.

2.4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას რეესტრში (ცხრილი №1) მოყვანილი ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები: ხელშეკრულების ასლები, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები და საქართველოს კანონდმებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

2.5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეესტრში მოყვანილ ხელშეკრულებებზე დამსაქმებლის მიერ გაწეული დადებითი რეკომენდაცია, სადაც მითითებული იქნება დამსაქმებლის სახელი, სახელშეკრულებო ღირებულება, გაწეული მომსახურების აღწერა, მომსახურების გაწევის ვადები და ინფორმაცია თუ რამდენად ჯეროვნად შეასრულა პრტენდენტმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.6. არარეზიდენტი პირების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მიღება-ჩაბარების აქტი ან დადასტურებული ანგარიშსწორების ფაქტურა, სამუშაოების დასრულების სერთიფიკატი ან სხვა ანალოგიური დოკუმენტი ქართულ ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის თანხლებით.

3. ჯგუფური სატენდერო წინადადება

3.1. ჯგუფური სატენდერო წინადადების შემთხვევაში (ერთობლივი საწარმო, ან ქვე-კონტრაქტი), აუცილებელია ზემოთ ხსენებული დოკუმენტები გათვალისწინებული იყოს კომპანიების ჯგუფის თითოეული წევრისთვის და მითითებული იყოს ძირითადი კომპანიის ე.წ. **„წამყვანი პარტნიორის“** დასახელება, რომელთანაც გამარჯვების შემთხვევაში გაფორმდება ხელშეკრულება.

3.2. საინჟინრო სამუშაოების ნებისმიერ დისციპლინაში ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი თანხმობის წერილი, გაცემული ქვეკონტრაქტორის მიერ (ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და კომპანიის ბეჭდით დამოწმებული), სადაც მითითებული იქნება, რომ იგი თანახმაა ამ ტენდერის ფარგლებში შეასრულოს სამუშაოები პრეტენდენტის ქვეკონტრაქტორის რანგში

მისი სპეციალიზაციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

3.3. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადს წარმოადგენს ერთობლივი საწარმო, წამყვანმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების საკვალიფიკაციო კრიტერიუმების არანაკლებ 50 პროცენტი. ერთობლივმა საწარმომ ერთობლივად უნდა დააკმაყოფილოს პროფესიული შესაძლებლობების კრიტერიუმები, რისთვისაც თითოეული პარტნიორის შესაბამისი შესაძლებლობები ერთმანეთს დაემატება, რათა შეფასდეს ერთობლივი საწარმოს საერთო შესაძლებლობა. შეფასების კრიტერიუმის გამოცდილების დადასტურებისათვის პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მის ან მისი ქვეკონტრაქტორის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ფორმა N2-ები.
3.4. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს ან მის ქვეკონტრაქტორს გამოცდილება განხორციელებული აქვს ასევე ქვეკონტრაქტორის რანგში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ **ძირითადი დამკვეთის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი** (სარეკომენაციო წერილი არ მიიღება იმ ორგანიზაციისაგან, ვისი ქვეკონტრაქტორიც იყო პრეტენდენტი).

4. სამუშაო ჯგუფი:

4.1. პრეტენდენტს 2014 წლიდან პრეკვალიფიკაციის გამოცხადებამდე უნდა ჰყავდეს მინიმუმ 20 (ოცი) მუდმივი თანამშრომელი.
4.2. პრეტენდენტს უნდა შეეძლოს დააკომპლექტოს დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფი ცხრილი №2-ში მითითებული პერსონალის სპეციალობების, გამოცდილების და რაოდენიბის გათვალისწინებით, რომელთაც პარალელურ რეჟიმში შეეძლებათ სამუშაოების შესრულება, გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება შენობა-ნაგებობის საინჟინრო სამუშაოების დარგში. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თითოეულ დისციპლინაში პერსონალის გამოცდილების დამადასტურებელი შემდეგი ინფორმაცია:
4.2.1. პირადობის მოწმობის ასლი
4.2.2. რეზიუმე (ე.წ. CV) სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა)
4.2.3. დიპლობის ან შესაბამისი სერთიფიკატის ასლი, რომლითაც დასტურდება უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში.
4.2.4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცხრილი #2-ში მითითებულ სპეცილისტებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ან შეთანხმება, იმის დასადასტურებლად, რომ პრეკვალიფიკაციის დროს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სპეციალისტ(ებ)ი განახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ სამუშაოს თავისი კომპეტენციის და სპეციალიზაციის ფარგლებში. *ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებლის მიერ სპეციალისტის ცვლილება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ანალოგიური გამოცდილების მქონე სპეციალისტით და წინასწარ შეთანხმდეს წერილობითი ფორმით შემსყიდველთან* (იხილეთ დანართი).

ცხრილი №2 - პრეტენდენტის პერსონალი

N	პერსონალი	მინიმალური გამოცდილება (წლები)	რაოდენობა
1	პროექტის მენეჯერი (ინჟინერი)	7	1
2	მექანიკური ინჟინერი (გათბობა, კონდიცირება, ვენტილაცია, წყალგაყვანილობა)	5	3
3	ინჟინერ ელექტრიკოსი	5	2
4	საინჟინრო ნაწილის პროექტანტი	3	1
4	ხარისხის კონტროლის სპეციალისტი	5	1

დანართი #1 - მონაცემები პრეტენდენტის სპეციალისტების შესახებ

№	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სპეციალობა	სამუშაო გამოცდილება (წლები)
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი:

<u>შენიშვნა:</u> <u>პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი (დამხმარე) სპეციალისტების პროექტში ჩართულობა, რაც შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ უპირატესობათ.</u>

წინარე შეთანხმება

ერთხის მხრივ, პრეკვალიფიკაციაში მონაწილე პირი: ----------

კომპანიიის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

(შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი: ----------

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

იღებს ვალდებულებას და მეორეს მხერივ, პრეკვალიფიკაციის პირობების შესაბამისად, კომპანიის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: ----------

სპეციალისტის სახელი და გვარი/პირადი ნომერი, სპეციალობა

(შემდგომში „სპეციალისტი“) თანხმდება, რომ ----------

პრეკვალიფიკაციის სახელი და უნიკალური ნომერი

„კომპანიის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული კომპანიაში და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

სპეციალისტის ხელმოწერა _____

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი: _____